ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7051408

ნომერი: AR11037728

თარიღი : 24.05.2024

გაცემის თარიღი : 28.05.2024

გაცნობის თარიღი : 28.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბოჭორმის ქუჩა N23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ურუშაძე პ/ნ 01008058026
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, კვარტალი I, კორპუსი 1ა, ბინა 21

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 24 მაისს №AR11037728 განცხადებით მომართა თორნიკე ურუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22 მაისის

№7038039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებით, №01.17.13.045.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 6200.0 კვ.მ-ის ნაცვლად 6179.7 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 4955.1 კვ.მ-ის ნაცვლად 5003.25 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 5577.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5713.3 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 1013.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1013.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 445.6 კვ.მ-ის ნაცვლად 460.8 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 5127.3 კვ.მ-ის ნაცვლად 5283.15 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 18754.95 კვ.მ-ის ნაცვლად 18721.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 45218.35 კვ.მ-ის ნაცვლად 45519.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 6179.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 5003.25 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 5713.3 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 1013.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 460.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 5283.15 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 18721.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 45519.9 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 მაისის №7038039 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.